



# პეიტი დუჰიძისი

„და ანგელოზსა ფილადეფიისა ეკლესიისასა  
მიუწერე: ამას იტყუეს წმიდაა და ჭეშმარიტი,  
რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი  
განაღებს, და არავინ დაჰკმას, გარნა განმღებ-  
ლმან მან, და არავინ განაღოს დაკმული იგი.“  
(გამოცხ. 3.7)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ყოველთვიური გაზეთი

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გაზეთი  
დეკემბერი, 2021 წელი

ნომერი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების ორმოცდამეოთხე წლისთავს.

რუბრიკით „ხმა ერიდან“ გამოქვეყნებულია წერილები:

- ავთანდილ არაბული - პატრიარქი განასახიერებს ჩვენი ისტორიის ურღვევობას
- ვალერი ასათიანი - „ღირსი და კეთილსათნო“
- ნონა გაფრინდაშვილი - „სრულიად მრევლი მას უსმენს კრძალვით“
- რისმაგ გორდეზიანი - „განათლებისა და მეცნიერების ქომაგი“
- ლაურა გრიგოლაშვილი - გზა სინათლისაკენ
- ბადრი ქუთათელაძე - დაუვიწყარი დღე
- დოდო (მარიამ) ლლონტი - ქართველთა ქრისტესთან მიმახლებელი
- პატრიარქისადმი მისასალმებელი წერილები გერმანიიდან.
- ნუგზარ სამხარაძე - შთაბეჭდილებები ბუხაგენის წმიდა სამების სახელობის მონასტრიდან

დეკემბრის გაზეთი მოამზადეს გივი შეყილაძემ, ასმათ ჯიქიამ, თამთა გრიგალაშვილმა, გიორგი მაისურაძემ.

## პატრიარქი განასახიერებს ჩვენი ისტორიის ურღვევობას

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე მართლაც განუზომელია და მის შეფასებას მომავლის არაერთი ათწლეული დასჭირდება.

მაგრამ ერთის თქმა დროითი დისტანციის გარეშე შეუძლებელია: მოწყალე უფალმა უწმიდესი სწორედ ისეთ დროს მოუვლინა ჩვენს ხალხს, როდესაც ნაირგვარ დაბრკოლებათა დამლევა გახდა საჭირო და ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარმა ამ ურთულეს დროში თავისი თანაარსებობითა და თანადგომით შეაძლებინა ერს, გაეძლო იმ განსაცდელთათვის, რაც უახლესმა ისტორიამ დაატეხა თავს. დაუძლეველ შეჭირვებათა ჟამს უბრალო მოკვდავის რწმენისა და იმედის შესანარჩუნებლად მართლაც შეუცვლელია ეს ფორმულა: რახან პატრიარქი გვყავს, ე.ი. ღმერთს ხელი არ აუღია ჩვენზე. ჩვენს თანამედროვეობაში მოყვასის სასოწარკვეთის საპირწონედ უფრო სანდო არგუმენტი, ვფიქრობთ, ძნელი მოსაძებნია...

ადამიანები ხშირად ვერ აღვიქვამთ უფლის იმ მადლს, რომელიც ჩვენს ამქვეყნიურ, ჩვეულებრივ არსებობაში სუფევს და ობიექტურ რეალობას ისე ვიღებთ, როგორც, უბრალოდ, უპირობო ნეიტრალურ ფონს.

ჩვენ - თანამედროვეებს - წილად გვერგო ათასი განსაცდელი და უბედურება, მაგრამ გვებოძა იმის ბედნიერება, რომ პატრიარქის დროში, მის გვერდით გვეცხოვრა. დაზუსტებისათვის: ზოგს - ჩვეულებრივ ბიურგერს - ჰგონია, რომ პატრიარქთან ახლოს ყოფნა ფიზიკურად მის გვერდით ყოფნაა; სინამდვილეში კი პატრიარქთან ის არის, ვინც სულიერად არის მისი ერთგული, მისი „თანამგზავრი“ (ისევე არასივრცითი შინაარსით)...

პატრიარქი, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახე და ხატი, უპირველესად, ცხადია, განასახიერებს წარსულისა და აწმყოს სულიერსა და კულტურულ კავშირს, ერის ისტორიის ურღვევობას. მაგრამ მისი გამორჩეულობა მაინც იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ამავე დროს, არის უაღრესად თანამედროვე, დროის მაჯისცემის ზედმიწევნით აღმქმელი და ყოველი პროგრესული სიახლის მხარდამჭერი; იგი არა მხოლოდ დაინტერესებულია კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მიღწევებით, არამედ თვითონ არის მთელი არსებით ჩართული შემოქმედებით პროცესებში.

ჩვენ, როგორც მთელი კაცობრიობა, ურთულეს პერიოდში, აქტიური ურწმუნობისა და უადამიანობის ეპოქაში ვცხოვრობთ და ცოდნა, ანუ ნაირგვარი ინფორმაცია, რომელიც ათასი ღია არხით ნიაღვრად მიედინება მომავალი თაობების ცნობიერებაში, ხშირად განათლება (ეს ქართული სიტყვა ზედმიწევნით ასახავს ნამდვილი ცოდნის საღვთო დანიშნულებას) კი არ არის, არამედ გონების დაბნელება და დეზორიენტაცია...

ჩვენს ხალხს კი, პატრიარქის წყალობით, ჭეშმარიტი განათლების ორიენტირები შენარჩუნებული აქვს.

რა განსაკუთრებული დანახვა უნდა იმას, რომ ქვეყნისა და ხალხის ყველა განსაცდელმა პატრიარქის გულსა და გონებაზე გაიარა და არ დარჩენილა ჩვენს რეალობაში მოვლენა, რომელსაც მისი ხედვით ზუსტი და აწონილი ადგილი არ მისჩენოდა. ამ საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოსაგრეთა მემკვიდრეობა მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა, პატრიარქმა განჭვრიტა, რომ საჭირო იყო დედაეკლესიის ფრთებქვეშ შექმნილიყო ახალი საერო უნივერსიტეტი, რომელიც შეიფარებდა განდევნილ მეცნიერებებსა და პროფესორებს. მართლაც, პატრიარქის კურთხევით მალე გაიხსნა წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი და ის გახდა შევიწროებული რჩეული სამეცნიერო საზოგადოების ნამდვილი თავშესაფარი, ისე, ზღვაში ჩაძირულ ხომალდს მამველი გემი რომ მიუსწრებს სულზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ „რეფორმატორების“ ფხიზელ თვალს ეკლესიის არც ეს ნაბიჯები დარჩენია ყურადღების გარეშე...

საარაკო პატრიარქის გულისხმიერება და ხშირად უთქმელად ამოკითხვა იმისა, რაც მასთან მისულს გულში უტრიალებს. ეს იმიტომ, რომ იგი ხედავს არა მხოლოდ გონების, არამედ გულის თვალთაც. არადა, რამდენი პირადული განცდა მიჰქონდათ და მიაქვთ მასთან პატრიარქის უსაზღვრო სიკეთისა და გულთბილობის იმედად; შეიძლება ითქვას, მთელი ეპოპეაა შექმნილი მისი გულისხმიერებისა და გულთამხილავობის დასტურად...

2007 წელს, როდესაც მეცნიერების აკადემიური სისტემა უკვე დაშლილია, ხოლო კვლევითი ინსტიტუტები არსებითად გაუქმებული, მეცნიერ-მუშაკის ხელფასი 100 ლარიც კი არ არის, ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაბეჭდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი რედაქციის ათიოდე ეგზემპლარი იმ მიზნით, რათა ხელისუფლებისათვის ფიზიკურად დაენახვებინა, თუ რა მნიშვნელობის სამეცნიერო ამოცანა მოითხოვდა სახელმწიფოსაგან ყურადღებას. გამოცემის ერთი ცალი პატრიარქს მივართვით და ვთხოვეთ, რომ სამების ახალგაზრდულ ცენტრში პრეზენტაციის ნება მოეცათ. რომ წამოვედით, გამოცემა უნახავს და უთქვამს, - მნიშვნელოვანი საქმეა და მხარდაჭერა სჭირდებათო. არა მხოლოდ დარბაზი დაგვითმეს, უწმიდესი თავად მობრძანდა პრეზენტაციაზე და გზა დაგვილოცა. ამან სერიოზულად გაგვიმყარა პოზიციები. ასეთი მხარდაჭერა არც მაშინ და არც შემდეგ არავის გამოუჩენია, ხელის შეშლა - რამდენიც გნებავთ. დღემდე მოსდევს განმარტებითი ლექსიკონის საქმეს იმ ლოცვის მაღლი...

პატრიარქი ძირეულად სწვდება ყველაზე ზოგადი მოვლენების არსს და ემებს და პოულობს ხოლმე ფორმებს, რათა თანამემამულეთათვის ადვილად მისაწვდომი გახადოს ისინი. მაგალითად, ათასწლეულებია არსებობს **სინერგიის** ცნება (ბერძნული შედგენილობით - „თანა-ქმედება“), როგორც აღმნიშვნელი საოცარი მოვლენისა, რომლის თანახმადაც ორი ძალის მექანიკური ჯამი ნაკლებია, ვიდრე მათი თანაარსებობის ენერგია. მაგრამ ეს ცნება არსებითად კათოლიკოს-პატრიარქმა დაამკვიდრა თავისი განსაკუთრებული შინაარსით ქართულ ცნობიერებაში და მისი მაღალი სარწმუნოებრივი გაგება უკავშირდება უფლის ნებისა და ადამიანის ძალისხმევის თანხვედრას, ჰარმონიას... მეორე მხრივ, პატრიარქის თანამედროვე, პროგრესული კონცეფციის ცენტრში დგას რწმენისა და ცოდნის, სარწმუნოებისა და მეცნიერების თანაარსებობის, „თანა-ქმედების“ იდეა, ანუ ცოდნა და რწმენა არა მხოლოდ კომპლემენტარულნი (ნილს ბორი), არამედ სინერგიულნი არიან (უნდა იყვნენ)...

დროისა და სივრცის ცნებები იმდენად არის ფილოსოფიური, რამდენადაც მათი ადამიანური აღქმა არის ასეთი. მაგრამ ეს აღქმაც, როგორც გამოცდილება აჩვენებს, არ არის ერთგვაროვანი. კერძოდ კი, დიდი ადამიანები, როგორც ჩანს, განსხვავებულად აღიქვამენ სამყაროს არსებობის ამ ზოგად კატეგორიებს. თითქოს მოსალოდნელია, რომ მათი აღქმა უფრო გამძაფრებული იყოს წარმავლობის მეტი სიღრმითა და სისრულით ჭვრეტის გამო. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ არის. სინამდვილეში ისინი უფრო ფილოსოფიურად უყურებენ ჟამთასვლას და ჩვეულებრივ მოკვდავს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათ არასოდეს და არსად არ ეჩქარებათ. როგორც ჩანს, ამას განაპირობებს დროისა და სივრცის განზომილებათა (მათეული) პირობითობა მარადისობასთან მიმართებით.

ამ თვალთ თუ შევხედავთ: პატრიარქი სიმშვიდესა და აუჩქარებლობას განასახიერებდა მაშინაც, როდესაც ღრმა საბჭოური სისტემის წიაღში ერის ახლად მოქცევას იწყებდა და მხოლოდ მის ნათელჭვრეტას შეეძლო სცოდნოდა ის, რომ მალე ყოფისა და ცნობიერების ეპოქალური ცვლილებები მოხდებოდა.

ერთ-ერთი პირველი ამოცანა, რომელიც მან დაუსახა აღორძინების გზაზე შემდგარ საქართველოს ეკლესიას, იყო უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის, როგორც ჭეშმარიტ ღვთისმსახურთა სამჭედლოს, შექმნა და მას მხოლოდ აღსაყდრებიდან ათი წლის შემდეგ ჩაუყარა საფუძველი, როდესაც მიიჩნია, რომ საამისოდ ნამდვილად იყო ნიადაგი მომზადებული. კიდევ ათწლეულების რუდუნება დასჭირდა იმას, რომ თბილისის უმაღლესი სასულიერო სკოლა დასრულებულ სისტემად ქცეულიყო. დღეს თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია წარმოგვიდგება როგორც სრულყოფილად გამართული უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი,

სწავლების სრული სამსაფეხურიანი სისტემით (ბაკალავრიატი - მაგისტრატურა - დოქტორანტურა), რომლის დაგვირგვინება გახლდათ აქ დაცული სადოქტორო ხარისხები ქართულენოვან მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სასულიერო აკადემიაში დღეს ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მისმა მსმენელმა, საკუთარი სულიერი მხნეობისა და მართლაც რჩეული აკადემიური პერსონალის შეწევნით, მოიმკოს ჭეშმარიტი განათლების კეთილი ნაყოფი. უპირველესად სწორედ აქ ისხამს ხორცს პატრიარქის საშვილიშვილო მითითება, რომელიც ზემოაღნიშნულ ისტორიულ მემკვიდრეობითობას უკავშირდება: „ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა. არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის, როგორც ერთადერთი გზა, რომლითაც მოაღწია ჩვენამდე ენამ, რწმენამ და ქართველი კაცის გენიამ.“

ავთანდილ არაბული

აკადემიკოსი

## „ღირსი და კეთილსათნო“

„ღირსი და კეთილსათნო“, ასეთია ჩემთვის ერის მწყემსმთავარი, ჩვენი ძვირფასი პატრიარქი. მის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ რა შეეძრება მასთან უშუალოდ შეხვედრების სიხარულს, დიდი ადამიანური სითბოს შეგრძნებას, სიბრძნესთან მიახლებას... სულ სხვაა ყოველივე ეს, ამ განცდების ქალღმერთზე გადატანა ნამდვილად შეუძლებელია...

რამდენი ადამიანი ამაყობს იმით, რომ უწმიდესს შეხვედრია. მომავალ საქართველოში რამდენი ათასი მართლმადიდებელი ქრისტიანი იამაყებს იმით, რომ მისი ნათლიაა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე.

„მუდმივად, განუწყვეტლივ ვფიქრობ იმაზე, რა გავაკეთო, რა ვთარგმნო, რა დავწერო, რა შევქმნა ისეთი, რაც ეკლესიას სჭირდება და რაც პატრიარქს გაეხარდება“. ეს სიტყვები ეკუთვნის თვალსაჩინო მეცნიერს, ჩემს მეგობარსა და კოლეგას - ქალბატონ გვანცა კოპლატაძეს, რომელმაც ამ თვალსაზრისით ძალზე ბევრი რამ გააკეთა და შესანიშნავად აღასრულა თავისი გულწრფელი ჩანაფიქრი. ასე ბევრი ფიქრობს საქართველოში და ცდილობს, შესაძლებლობისამებრ, გამოხატოს დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ. ესაა იმავდროულად დამოკიდებულება ქვეყნის სულიერი სიმტკიცის, ოდინდელი ბრწყინვალეობის, ჯანსაღი მომავლის მიმართ. სწორედ ესაა პატრიარქის მიზანი და მასთან ყოველი შეხვედრა ამ სულისკვეთებითაა გაჟღერებული და ნაკარნახევი.

სიამოვნებით ვიხსენებ ჩემს პირველ შეხვედრას პატრიარქთან გელათში, 70-იან წლებში. ემოციებით აღვსილნი სულგანაზღვრულნი ვუსმენდით. თითოეულ მის სიტყვაში ჩაქსოვილი იყო შორსმჭვრეტელობა, ერის ამოცანების ნათლად, მკაფიოდ განსაზღვრა, კეთილხმოვანება.

1985 წელს ჩვენს სახელოვან ხელოვანთან - ლიანა ისაკაძესთან ერთად ვესტუმრე. არ დამავიწყდება როგორ გაუბრწყინდა პატრიარქს თვალები, როდესაც ქალბატონ ლიანას მიერ დაფუძნებულ ბიჭვინთის მუსიკალურ ფესტივალზე წამოვიწყეთ საუბარი. ეს ფესტივალი იყო ნამდვილი დღესასწაული, რომელიც განსაკუთრებულადაა აღბეჭდილი ჩვენს თანამედროვე კულტურულ მატრიანეში. მეტსაც ვიტყვი, ეროვნულ მეხსიერებაში, რადგან საქართველოს ამ უძვირფასეს კერაში გამართული დაუვიწყარი შეხვედრები აღვსილი იყო სიხარულით, ადამიანური ურთიერთობის სითბოთი. მახსოვს პატრიარქმა ახსენა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე (სტრატოფილოსი), რომელიც მონაწილეობდა ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაში(325). ბიჭვინთა დიდ საეკლესიო ცენტრად მიიჩნეოდა შუა საუკუნეებში. 1967 წელს სწორედ ამ მხარის სულიერ წინამძღვრად იქნა დადგენილი მეუფე ილია. 1969 წელს აქვე აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში. როგორი სიყვარულით ახსენებდა და ახსენებს იგი აფხაზეთს, ჩვენს დებსა და ძმებს - აფხაზებს... ასე იყო იმ დღესაც, ლიანა ისაკაძესთან შეხვედრისას. მე მაშინ განმაცვიფრა პატრიარქის ღრმა განსწავლულობამ მუსიკის ძალზე სპეციფიკურ საკითხებში, მუსიკის თეორიის, ისტორიის საფუძვლიანმა ცოდნამ. თუმცა, შემდგომში ჩვენ, ყველანი მოწმენი გავხდით პატრიარქის მიერ შექმნილი დიდებული საგალობლებისა. მართო „დავიღალე“ როგორ ამდიდრებს ქართულ საგალობელთა მდიდარ პალიტრას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ანზორ ერქომაიშვილის დიდი ძალისხმევით დაფუძნებული რეგენტთა და გალობის შემსწავლელთა სკოლა, სხვა სასწავლო კერები (სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები), რომელთა მნიშვნელობა ეროვნული კულტურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

რამდენიმე წლის წინათ მქონდა პატივი მონაწილეობა მიმელო სერგიე-პასადში (ზაგორსკში) გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა ქრისტიანობის ისტორიის საკითხებს. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ მასპინძლებმა მოგვატარეს იქაურობა და ბოლოს მიგვიყვანეს კედელთან, რომელსაც ამშვენებდა ქრისტიანულ სამყაროში ამ დიდად აღიარებული სასწავლებლის რჩეულ კურსდამთავრებულთა, მათ შორის, ჩვენი პატრიარქის, ფოტოები. არასოდეს დამავიწყდება, როგორი მღელვარებით ვისმენდი მასპინძელთა მიერ უწმიდესის შემამკობელ სიტყვებს. როგორი მოწიწება, როგორი თაყვანისცემით იყო აღვსილი მათ მიერ თქმული. ერთმა მაღალმა იერარქმა ბრძანა: „თქვენი პატრიარქი არის პატრიარქი პატრიარქთა შორის!“ როგორ შეიძლება ამით არ იამაყო! ეს არ გამკვირვებია, მაგრამ

ამაღელვებელია, როცა შენს პატრიარქს ახსენებენ როგორც რჩეულს რჩეულთა შორის. შემდგომში, როცა უწმიდესს გავუზიარე იქ, სერგიე-პასადში მოსმენილი, მან ღიმილით გაიხსენა სემინარიაში გატარებული წლები.

მახსენდება 1994 წელი, თანამედროვე საქართველოს რთული დრო... გვიან ღამით დამირეკეს და მაუწყეს გულსატკეპნი ამბავი - პარიზში აღესრულა ვიქტორ ხომერიკი, ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, გრიგოლ რობაქიძის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართველების გულითადი მასპინძელი საფრანგეთში. ადრე, პარიზში, ანსამბლ „რუსთავის“ გასტროლების დროს მასთან დამახლოვებს დაუვიწყარმა რეზო თაბუკაშვილმა და ანზორ ერქომაიშვილმა... ვიქტორ ხომერიკი 1921 წელს, 11 წლის ასაკში საქართველოს რუსული ოკუპაციის შემდეგ გაჰყვა ქართულ ემიგრაციას. 1924 წელს დაუხვრიტეს მამა - ნოე ხომერიკი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიწათმოქმედების მინისტრი იყო. ვიქტორ ხომერიკი დიდი ავტორიტეტის გამო განსაკუთრებულ პოლიტიკურ ფიგურასაც წარმოადგენდა, იყო მსოფლიო ემიგრანტთა მთავარი კომიტეტის გამგეობის წევრი, პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაზე ერთ-ერთი მზრუნველი. მეორე მსოფლიო ომის დროს მან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიხსნა ქართველი ტყვეები გესტაპოს საკონცენტრაციო ბანაკიდან, რისთვისაც სამჯერ მოხვდა დასახვრეტა სიებში.

პატრიარქს ვაცნობეთ ვიქტორ ხომერიკის გარდაცვალება, გავიხსენეთ მისი სურვილი - დაკრძალულიყო სამშობლოში. უწმიდესმა გვკითხა, სად შეიძლებოდა დაკრძალულიყო ბატონი ვიქტორი, როგორ მოხდებოდა მისი ჩამოსვენება? მოვახსენე, რომ ჩამოსვენების საკითხი მოგვარებული იყო. განსასვენებლად დავასახელებთ სამი ადგილი: რომელიმე ჩვეულებრივი სასაფლაო, დიდუბის ეკლესიის ეზო, ან დიდუბის პანთეონი. პატრიარქი წამიერად დაფიქრდა და გვეუბნება: „ვიქტორ ხომერიკი, ბედის უკუღმართობით, რთული ისტორიული გარემოებების გამო ფიზიკურად მოწყდა სამშობლოს და თავისი ცხოვრება ემიგრაციაში გაატარა. ასე დატრიალდა მისი ცხოვრების ჩარხი.. იგი სიონიდან უნდა გამოვასვენოთ... რაც შეეხება დაკრძალვის ადგილს, რა იქნება, რომ იგი დაიკრძალოს დიდუბის ეკლესიასა და სამოქალაქო პანთეონს შორის, საზღვარზე, სადაც თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლებამ კედელი გაავლო. ამით ეს ფაქტი ერის გამთლიანების ერთგვარი სიმბოლოს მნიშვნელობასაც შეიძენს.“ ასეც მოხდა.

ძალზე მახარებს, რომ ვმონაწილეობდი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით განხორციელებული 3 წიგნის მომზადებასა და ამასთან დაკავშირებით საპატრიარქოში გამართულ შეხვედრებში წიგნების („დიდნი საქმენი“, 2011), “ზარზმა“, 2007. რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი, “ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია“, 2013. რედაქტორი ვალერი ასათიანი) წარდგენაში. როგორც ყოველთვის, ღრმადშინაარსიანი იყო პატრიარქის გამოსვლები. მკაფიოდ გაისმა მისი მოწოდება გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული სულისკვეთების, თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ. ნათქვამი სრულ თანხმობაში იყო ცნობილ გამონათქვამთან, რომლის თანახმად, “ყოველ ერს, ისევე როგორც ყველა ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრებება. თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს თავისი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერი კვდება“. ეს ხაზია გატარებული პატრიარქის ქადაგებებში, წერილებში. ხსენებულ შეხვედრებზე უწმიდესმა მოუწოდა ეპისკოპოსებს, იზრუნონ ეპარქიებში არსებული ისტორიული ძეგლების, სიძველეების შესახებ ამგვარი აკადემიური გამოცემების შექმნაზე. ამის შემდეგ დაიწყო წიგნების მომზადება აჭარაში, შიდა ქართლში.

ასევე სიამოვნებით ვიხსენებ იმ წლებს, როდესაც პატრიარქთან მომიწია ურთიერთობა ახალ სახელმწიფო ჰიმნთან დაკავშირებით. იმხანად, მე, როგორც კულტურის მინისტრს, მომენდო იმ კომისიის ხელმძღვანელობა, რომელსაც დაევალა ჰიმნის წარმოდგენილი ვარიანტების შერჩევა და დასამტკიცებლად წარდგენა. ხანგრძლივი განხილვების შემდეგ შეირჩა ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა, რომელიც ჰიმნად დაამუშავა თვალსაჩინო ქართველმა კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემ. კომისიამ მხოლოდ მუსიკა დაამტკიცა. მაშინ ვერც ერთმა

წარმოდგენილმა ტექსტმა ვერ მოიპოვა მხარდაჭერა. ეს მოგვიანებით მოხდა... კომისიის მიერ წარდგენილი ჰიმნი შესრულდა ოპერისა და ბალეტის თეატრში. სადირიჟორო პულტთან იდგა დიდი მანქანა - ჯანსუღ კახიძე. პატრიარქმა მოიწონა ახალი ჰიმნი და მხარი დაგვიჭირა.

2015 წელს პატრიარქს ვეახელი საქართველოს დიდ მეგობართან, ცნობილ აზერბაიჯანელ ხელოვანთან და სახელმწიფო მოღვაწესთან, ჩემს მეგობარ ფოლად ბიულ-ბიულ ოღლისთან ერთად, რომლის საიბილეო შემოქმედებითა საღამომ თბილისში წარმატებით ჩაიარა. საპატრიარქოში გამართულ გულთბილ შეხვედრაზე უწმინდესმა მოიხმო კულტურული ურთიერთობის კარგი მაგალითები, გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში საქართველოს ახსენებენ ხაკანი. შირვანი და ნიზამი განჯელი. რუსთველი და ჩახრუხამე კი ასახელებენ ნიზამის გმირებს. პატრიარქმა ისაუბრა აშუღური პოეზიის, თეატრისა და მხატვრობის როლზე, გაიხსენა არაერთი აზერბაიჯანელი და ქართველი მოღვაწე, მეგობრობის კარგი მაგალითები. ბოლოს სთხოვა სტუმარს რაიმე ემღერა და ძალზე ესიამოვნა, როცა სტუმარმა მაგალობლებთან ერთად ქართული სიმღერა შეასრულა.

პირადად ჩემთვის დაუვიწყარია ის დღე, როდესაც პატრიარქმა ჩემს უდროოდ წასულ შვილს - ნიკას ჯვარი უსახსოვრა....

უწმიდესის შესახებ უსასრულოდ შეიძლება საუბარი და მრავალმა ადამიანმა ღირსეულად შეაფასა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა, დიდი ღვაწლი ერის წინაშე. ყველას რაიმე აქვს სახსოვარი და მეხსიერებაში ღრმად აღბეჭდილი ყოველი შეხვედრა ჩვენს დიდ თანამედროვესთან, რომლის მიერ ერისთვის შეთავაზებული ახალი ტრიადა „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“ თაობებს გადაეცემა!

დღეგრძელობა ჩვენს უსაყვარლეს პატრიარქს!

ვალერი ასათიანი  
აკადემიკოსი

## „სრულიად მრევლი მას უსმენს კრძალვით...“

ულრმესი პატივისცემით, დიდი მოწიწებითა და განსაკუთრებული მადლიერებით მიიწვიეს ვისაუბრო მის უწმიდესობაზე. თუმცა, ვგრძნობ, რომ ეს ძალიან მიჭირს, ნუთუ შეიძლება სიტყვით გადმოვცე ის გრძნობა, ემოცია, აღტაცება და სასოება, რომელიც მეუფლება მასთან შეხვედრისას. ჩემი ღრმა რწმენით, მისი მეოხებით, გამჭრიახობით, სიბრძნით და მადლით ახერხებს საქართველო წინსვლას ურთულეს გზაზე, მაშინ, როდესაც შიდა თუ გარე მტრები უტევენ ჩვენს ეკლესიას, სარწმუნოებას, ტრადიციებს და ღირსებას. მისმა უწმიდესობამ ეს უმძიმესი ტვირთი და უარყოფითი ენერჯია თავის თავზე მიიღო და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით, სიბრძნით, სიყვარულით ზიდავს და უმკლავდება მას.

მადლიერებით ვიხსენებ ერთ ეპიზოდს ჩვენი შეხვედრებიდან. რამდენიმე წლის წინ ჩემს შვილიშვილს გულის მანკი დაუდგინდა. არაჩვეულებრივი პიროვნების, უბრწყინვალესი კარდიოქირურგის თორნიკე სოლოლაშვილის დახმარებით შესაძლებელი გახდა ნიკოს გამგზავრება საოპერაციოდ ჟენევაში. მგზავრობის წინა საღამოს მთელი ოჯახით ვეწვიეთ მის უწმიდესობას საპატრიარქოში. მან ჩვეული სიმშვიდით და სიყვარულით დაგვლოცა, ნიკოს მიეფერა და დაგვამშვიდა - ყველაფერი კარგად ჩაივლისო. საპატრიარქოდან საოცარი ემოციებით დატვირთული და დამშვიდებული გამოვედით. რამდენიმე დღეში თორნიკემ ნიკოს ურთულესი ოპერაცია გაუკეთა. უფლის მადლით, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და თორნიკეს უმაღლესი პროფესიონალიზმის წყალობით ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და დღეს ნიკო კარგადაა.

მიიწვიეს ვუსურვო მის უწმიდესობას ჯანმრთელობა და დიდი ხნის სიცოცხლე, ხოლო ჩემს თავს და მთელ საქართველოს ვუთხრა: ყური ვუგდოთ და დავუჯეროთ მას, ჩვენ ხომ უფალმა მწყემსად ცოცხალი წმიდანნი მოგვივლინა.

- გვესმის გალობანი უწმიდესის,  
ქართველთ უბერავს სიო დალოცვის,  
გაილო კარი უფლისა საყდრის,  
სრულიად მრევლი მას უსმენს კრძალვით.  
ტალღამ იფეთქა მისეულ სიბრძნის,  
მშვიდდება ერი, ნათელ გზას ელის
- ბედნიერია ჩვენი სამშობლო,  
მას ხომ უფალმა უბოძა მადლი.  
არ გვიწერია გადაჯიშება,  
ჩვენ ხომ გვმფარველობს  
თვით პატრიარქი.

ულრმესი პატივისცემით,  
ნონა გაფრინდაშვილი



## განათლებისა და მეცნიერების ქომაგი

უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა ქართველთა აბსოლუტური უმეტესობა ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტულ და ნდობით აღჭურვილ პიროვნებად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიიჩნევს. ყველა ჩვენგანს პატრიარქისადმი განსაკუთრებული მოწიწებისა და სიყვარულის საკუთარი მოტივები გაგვაჩნია. პირადად ჩემთვის უწმიდესს უკავშირდება საქართველოში რელიგიური ცხოვრების სრულმასშტაბიანი აღორძინება, სასულიერო პირთა განათლების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება და უკვე ათეისტური საბჭოთა ეპოქის დეკადანსის პირობებში მრევლის აქტიურად დაბრუნება ეკლესიებში. ბედის უაღრესად მაღლობელი ვარ, რომ ცხოვრება მომიწია მისი მოღვაწეობის პერიოდში, მქონდა მასთან შეხვედრებისა და საუბრების შესაძლებლობა, ვესწრებოდა მისი თაოსნობით ჩატარებულ სხვადასხვა დანიშნულების თავყრილობას.

უწმიდესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მონახოს რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობის ფორმები, შექმნას საპატრიარქოსთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სათანადო განათლების მიღების პირობები, მათი რაოდენობა კი საქართველოში უკვე საკმაოდ შთამბეჭდავია. მახსოვს როგორი კმაყოფილებით შეხვდა ქართული პროფესურა თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსებას. აკადემია უწმიდესის რჩევით ლექციების საკითხავად იწვევდა სამეცნიერო საზოგადოების რჩეულ წარმომადგენლებს. ამ პროცესში ჩაგვრთეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელინოლოგებიც. პროფესორი გვანცა კოპლატაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილი ბიზანტინოლოგი, საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილების ხელმძღვანელი, დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას სასულიერო აკადემიაში. 2006 წელს საუნივერსიტეტო რეფორმის პროცესში განსაკუთრებული დარტყმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო, როდესაც მისი წამყვანი პროფესორის ერთი ნაწილი სამსახურიდან დაითხოვეს. მაღალკვალიფიციური კადრების კვლავ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პატრიარქის ინიციატივითა და ძალისხმევით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებას 2008 წელს. მას შემდეგ, რაც 1997 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი დაფუძნდა, ჩვენ, როგორც ქართულ-ბერძნული ურთიერთობების მკვლევარნი და შემსწავლელნი, ბერძენ სასულიერო იერარქთა ვიზიტებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თვალსაწიერში ვიმყოფებით. საპატრიარქოსთან ჩვენი თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2004 წელს ჩატარებული ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმი - „ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში,“ რომლის მასალების გამოცემა ჩვენი ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსმა“ განახორციელა. ინსტიტუტისთვის ჭეშმარიტად განსაკუთრებული მოვლენა იყო, როდესაც გვქონდა ბედნიერება, 2002 წელს გვემასპინძლა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისა და მისი სტუმრის, ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსის, მეუფე ხრისტოდულოსისათვის. ამ ვიზიტმა დიდი პოლიტიკური ვნებათაღვლის მოლოდინით აღბორგებულ საუნივერსიტეტო საზოგადოებაში საოცარი სიმშვიდე და იმედი შემოიტანა.

2021 წელს უწმინდესის ძალისხმევით ქართული მეცნიერებისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრი, რომლის თანადგომის სიკეთეს ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება უკვე გრძნობს.

ხშირად მომისმენია, რომ ჩვენი პატრიარქის გამამხნეველ სიტყვას განსაკუთრებული ძალა აქვს არა მარტო მისი მრევლისათვის, არამედ ცალკეული პიროვნებებისათვისაც. ეს მე თავად გამოვცადე, როდესაც გადატანილი გულის ოპერაციის შემდეგ, არცთუ კეთილ მოლოდინში მყოფს, შემატყობინეს, რომ პატრიარქი თავის

ლოცვებში მიხსენიებდა. ამ ცნობამ მაშინ საოცარი სიმხნევე შემმატა და ყოველივეს კეთილად დასრულების იმედი გამიძლიერა. დე, კიდევ დიდხანს გვქონოდეს ჩვენი პატრიარქის დალოცვისა და გამხნეების იმედი.

რისმაგ გორდუზიანი,  
აკადემიკოსი.

## გზა სინათლისკენ

ჩვენმა თაობამ (გასული საუკუნის 30-იან — 50-იანი წლების ადამიანებმა) სხვა თაობათა მსგავსად მძიმე და აბნეული გზით დიდხანს იარა. თითქმის ყველას შეგვეხო უსასტიკესი ბოლშევიკური რეპრესიები, თითქმის ყოველი ოჯახის წევრი, ან ოჯახთან დაახლოებული ადამიანი გააციმბირეს. მათი დაობლებული ოჯახები წელში ვეღარ გაიმართნენ, სიღუბნისა და შიშში განლიეს ღვთისგან ბოძებული სიცოცხლე.

1941-45 წლებში ფაშისმის გამოგნებელი სისასტიკე გვთრგუნავდა. ოჯახებში უკვე დავაჟკაცებული ახალგაზრდები ომში გაიწვიეს. ომიდან ცოტანი დაბრუნდნენ. ბევრი რამ დააკლდათ მამადაკარგულ შვილებს...

მაგრამ ეს ყველაფერი როდი იყო?! ჩვენ ხომ ყველანი მოქცეული ვიყავით ყალბი იდეოლოგიის მარწუხებში. სულიერებამ და მისმა მსახურებმა თითქოს მიგვატოვეს. სკოლებში ყალბ ლოზუნგებს გვაძალებდნენ. ეკლესიაში შესვლა დიდ დღესასწაულებზეც (ხარება, შობა, აღდგომა...) გვეკრძალებოდა... მაგრამ იმ მრუმე რეალობაში აქა-იქ მაინც კიაფობდა სინათლე. სულიერ კულტურას ნაზიარებნი, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ღვთის სახე და ხატი, ჩვენს გულებში სითბოს და სიყვარულს აღვივებდნენ. ჩვენზე დიდ ზეგავლენას ახდენდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებში ჩაქსოვილი რაინდული კდემამოსილება და შემართება... ჩვენი მწერლობა, ჩვენი პოეზია გვაფხიზლებდა, გვაძლიერებდა და იმედით გვივსებდა გულს...

და, აი, მოხდა სასწაულიც! უფალმა გადმოგვხედა: საბჭოთა კავშირის „სავანე“ და იდეოლოგია შეზანზარდა და ჩამოიშალა. „პერესტროიკა“ უწოდეს ამ პერიოდს. მე კარგად არ ვიცი, საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმა როგორ გამოიყენეს ნანატრი დრო, ჩვენ კი, ქართველებს, ძალიან გაგვიმართლა. ჩვენს ქვეყანას მოველინა ღმრთის კაცი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომლის პიროვნებამ ნათელი მოჰფინა ჩვენს სამკვიდრებელს. მან თავისი სიბრძნით, კეთილშობილებით, გონიერებით, მიმტევებლობით ყველა ჩვენგანზე მოახდინა დიდი ზეგავლენა. ყველამ ვიგრძენით, რომ დადგა ახალი ერა, ვიგრძენით, რომ ქართული მიწა-წყალი გაცოცხლდა, მან თითქოს ახალი სუნთქვა შეიძინა. ეკლესიებში სანთლები აკიაფდა, ლოცვები და საგალობლები ახმიანდნენ! მშობლებმა მიაშურეს ეკლესიებს ბავშვების მოსანათლად. ამ საშვილიშვილო და სათუთ წამოწყებას თვით პატრიარქი ედგა სათავეში. ჩემი სამივე შვილიშვილი, სამი ანგელოზი გოგონა (ანა, სალომე, მარიამი) პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოინათლნენ. მე მწამს, რომ ისინი სინათლის გზიდან არასდროს გადაუხვევენ.

აშკარა იყო, რომ პატრიარქი ახალი რეალობის, „ახალი ქალაქის“ ასაშენებლად მოგვევლინა. მან შემოიკრიბა ერისთვის თავდადებული მოღვაწენი და ყველას თავისი წილი საქართველოს მსახურება შესთავაზა. დაიწყო საეკლესიო ტრადიციების აღორძინება და განმტკიცება. უმნიშვნელოვანესია, რომ პატრიარქმა უმთავრეს მიზნად ერისა და მრევლის განათლება დაისახა. იგი მთელი არსებით, მთელი გულით მიეცა ამ დიდ საქმეს და გრანდიოზული ნაბიჯები გადადგა. მან განაახლა და სული ჩაუდგა სასულიერო სწავლების ძველ ქართულ კერებს, ეკლესია-მონასტრებთან რომ არსებობდნენ. მანვე დააარსა ახალი სასწავლებლებიც. ქართულ სემინარიასა და აკადემიას თვითონ ჩაუდგა სათავეში და ყველას მისცა მსახურების ცოცხალი მაგალითი. აკადემიასა და სემინარიაში მოიწვია საღვთო განათლების მქონე ჩვენი საერო მოღვაწეებიც. შეარჩია ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც შეძლებდნენ გზის გაკაფვას და მიზნის მიღწევას.

ჩემს გაცვებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ შორის მეც მოვხვდი. თურმე პატრიარქს ტელევიზიით მოუსმენია ჩემი საუბრები ქართული ლიტერატურის შესახებ და მიუჩნევია, რომ მეც შემეძლო შევჭიდებოდი ამ საპატიო საქმეს. ეს ჩემთვის არა მხოლოდ დიდი პატივი, არამედ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაც იყო. გავბედე და უკან არ დავიხიე.

დაუფიწყარია ჩემი და პატრიარქის შეხვედრა. მან სულიერებით გაბრწყინებულ თავის საბრძანებელში მიმიწვია. გამამხნევა, ძალა შემმატა, ამიხსნა რა მევალებოდა. უსაზღვროდ გახარებული და შემართული დავემშვიდობე. ჩემთვის ნეტარი იყო სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში გატარებული წლები. დღესაც მახსოვს გულანთებული სტუდენტების სახეები. დღესაც მახსოვს სასწავლებელში უკვე სტუმრად მობრძანებული პატრიარქის რჩევა-დარიგებანი. კარგად მესმოდა, რომ სასულიერო სასწავლებელში წაკითხული ლექციები განსხვავებული უნდა ყოფილიყო საერო სასწავლებელში ჩატარებული ლექციისგან. რაიმე დაბრკოლების დროს ძალიან

მეიმედებოდა სემინარიის მაშინდელი რექტორის — გიორგი გამრეკელის თანადგომა. დღეს ამ სემინარიის რექტორია ჩემი ყოფილი სტუდენტი გიორგი ზვიადაძე, რომელიც ძალიან მემამყებოდა, როგორც სტუდენტი, მემამყება ისიც, რომ დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩევა დღესაც.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის წარმატებულად არ იმართებოდა პროცესები აკადემიასა და სემინარიაში, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ დაგვიხევია უკან. სიკეთეს ბოროტება მუდამ მტრობს, მუდამ ებრძვის, მაგრამ გამარჯვება სიკეთის მხარესაა. ჩვენი გენიოსი პოეტიც ხომ გვმოდვრავს: „ბოროტსა სძლია კეთილმა, არსება მისი გრძელია!“.

ჩვენი პატრიარქის მიერ გაკვალულ გზას სინათლისკენ მივყავართ. საქართველო გაბრწყინდება, თავის მისიას შეასრულებს.

ლაურა გრიგოლაშვილი

ცნობილი მწერლის და მოღვაწის, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორის, ბადრი ქუთათელაძის უშუალო მონაწილეობითა და ძალისხმევით, 1987 წლის დეკემბერში, პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადმოსვენეს ქართული პოეზიის ლეგენდა ტერენტი გრანელი.

რა მოხდა დიდუბის პანთეონში 32 წლის შემდეგ, 2019 წლის 25 სექტემბერს, ამის შესახებ ბატონი ბადრი ქუთათელაძე მოუთხრობს გაზეთ „კლიტე დავითისის“ მკითხველებს.

#### დაუვიწყარი დღე

„არ დავიწყებ მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“

შოთა რუსთაველი

უცნაური დღე იყო 2019 წლის 25 სექტემბერი, ოთხშაბათი. ეს დღე ისტორიაში შევა იმიტაც, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დიდუბის პანთეონში მოინახულა პოეტის სამუდამო განსასვენებელი. დღე ასე დაიწყო... მიკავშირდება უკეთილშობილესი ქალბატონი ქეთევან შიოლაშვილი და მეუბნება - დღეს პატრიარქს მოსვლა უნდა თქვენთან, დიდუბის პანთეონშიო. შემდეგ იგივე შინაარსის ზარი - დაცვის სამსახურიდან. რაღაც უცნაური განწყობა დამეუფლა, არ ვიცი, ეს დიდი სიხარულით იყო გამოწვეული თუ იმ მოკრძალებითა და სიყვარულით, რაც მე მაკავშირებს მის უწმიდესობასთან.

ერთ საათში მობრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. მისი მობრძანება გვამცნო ზარების რეკვამ დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამრეკლოდან. მოგეხსენებათ, აკაკი წერეთლის გამზირი ხალხმრავლობით გამოირჩევა და პატრიარქის დანახვაზე ზღვა ხალხი მოგროვდა. თითოეული ადამიანის თვალებიდან მოდიოდა სითბო, მოკრძალება და სიყვარული, იყო ცრემლიც... გზა და გზა მის უწმიდესობას ვესაუბრებოდი დიდუბის პანთეონზე, იმაზეც, რომ დიდუბის პანთეონში დაკრძალულია 930 ადამიანი... მისმა უწმიდესობამ გამოთქვა სურვილი, რომ მოენახულებინა ტერენტი გრანელის საფლავი. პატრიარქმა პატივი მიაგო დიდი ტერენტი გრანელის სამუდამო განსასვენებელს. შემდეგ საგანგებოდ მოტანილ სავარძელში დაბრძანდა და დუმილით შესცქეროდა ზეცისკენ აპყრობილ ტერენტი გრანელის პორტრეტს... დუმილი დაირღვა, უწმიდესმა მოიკითხა ღვინო. გამოჩნდა ნაკურთხი წითელი ღვინო და პური... პატრიარქის ნებართვით სიტყვის თქმა მე დამევალა, პატივი მივაგე ტერენტი გრანელის უკვდავ სულს და მოვიგონე პანთეონში დაკრძალული ადამიანები... ვადღეგრძელებ პატრიარქი, ჯანმრთელობა ვუსურვე ჩვენი ეკლესიის საჭეთმყრობელს და მადლობა მოვახსენე მობრძანებისათვის.

უწმიდესმა მაჩუქა 100 ლარი, რომელიც ჩავსვი ჩარჩოში და გავუკეთე წარწერა: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე გვესტუმრა დიდუბის პანთეონში. საგანგებოდ მოინახულა ტერენტი გრანელის საფლავი. ვისაუბრეთ. მაჩუქა 100 ლარი და მითხრა - „გთხოვთ, ეს ფული არ დახარჯოთ. დარჩეს როგორც რელიკვია!“

ბადრი ქუთათელაძე

## ქართველთა ქრისტიანთა მიმახლებელი

„ღვთისა და ადამიანის შერთებულ ძალას,  
რომელსაც სინერგია ეწოდება, ყველაფერი შეუძლია“  
**უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე**

თავის მრავალმხრივ საყურადღებო ქადაგებებსა და ეპისტოლეებში უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე სრულიად საქართველოს სამწყსოს აწვდის მარადიულად საჭირობოროტო საკითხებსა თუ თემატიკას (იქნება ეს: სიყვარული ღვთისა და ადამიანისა; ადამიანის ცხოვრების მიზანი და გამართლება; ადამიანის მოწოდება და არჩევანი; ცოდნა და რწმენა – და მრავალი სხვა), რომელთა მსმენელი და მკითხველი, როგორც წესი, თანადროულად ეზიარება განსახილველი საგნის **ჭეშმარიტ ქრისტიანულ შინაარსსა და დანიშნულებას**.

თუმცა, ბევრად უფრო მნიშვნელოვნად მესახება ჩვენი პატრიარქის მიერ საგანგებოდ მომარჯვებული **ცოდნისა და რწმენის** (გნებავთ – რწმენისა და ცოდნის) **გაერთიანების წესი**, რომელიც ასევე საგულისხმიეროდ აღიბეჭდება დღეისათვის მის უკვე მრავლისმსწავლელ ლაკონიურ შეგონებებსა და ფრაზეოლოგიზმებში (ქადაგებები: „აქედით ღმერთსა მეცნიერებით“ და „აღილე ჯვარი შენი“ და სხვ.).

ამჯერად მოვიხმოთ უწმიდესისა და უნეტარესი ილია მეორის მიერ ლაკონიურად ჩამოყალიბებულ შეგონება-განმარტებას:

**„თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა – ნიშნავს, გქონდეს იმდენი სულიერი ძალა,  
რომ უხელმძღვანელო შენს თავს“.**

ამ შეგონებით უწმიდესი და უნეტარესი მკაფიოდ, არსობრივად განგვიმარტავს არა მხოლოდ საკუთრივ ქრისტიანული „თავისუფლების“ რაობასა და რაგვარობას, არამედ წარმოგვიჩენს იმ ქრისტიანულ წანამძღვრებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც უკუფენილად შეიცავს **ქართულენოვანი** შესიტყვება-ტერმინი – „თავის-უფლება“. ამას გვკარნახობს ზემოთ წარმოდგენილ შეგონებაში მიზანდასახულად ჩაწერილი – „**სულიერი ძალა**“ და „**შენს თავს**“, კერძოდ:

რამდენიმე ქადაგებასა და ეპისტოლეში („ადამიანის ცხოვრების მიზანი“; „აქედით ღმერთსა მეცნიერებით“; „სულს ნუ დაივიწყებ“; საშობაო ეპისტოლე – 1995-1996 წელი, და სხვ.) უწმიდესი და უნეტარესი განიხილავს ადამიანის ღვთის წინაშე განმართლების ორ უმთავრეს განმსაზღვრელ ფაქტორს:

\* უწინარესია სწრაფვა სულიერი სიმაღლისაკენ, „**სულიერი ძალით**“ შემოსვა, ანუ სულიერი ძალმოსილება, რათა ღირსეულად ვუპატრონოთ ჩვენთვის ზეგარდმო ბოძებულ **ქრისტე ღმერთის ხატსა და მსგავსებას** (→ **მსახურება ღვთისათვის**). უწმიდესი და უნეტარესი ამასთან დაკავშირებით შეგვახსენებს წმიდა პავლე მოციქულის შეგონებით სწავლებას: „ხოლო უფალი

სულ არს, ხოლო სადა სული უფლისაჲ, მუნ აზნაურებაჲ არს [იქ თავისუფლებაჲ]“ (2 კორინთელთა მიმართ 3, 12).

\* მეორე ფაქტორი გვერდით მყოფის მსახურებაა (→ **მსახურება მოყვასისათვის**), ანუ ღვთივმოსაწონად აღსრულება დიდებული მცნებისა – „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. სწორედ ამ დიადი სიყვარულით ანთებულს **უმსუბუქდება** მძიმედ აღსასრულებელი ის **ტვირთი**, რომელსაც მოყვასისა და ღვთისადმი სიყვარული ჰქვია, და **ქრისტეს რჯულისმიერი უღელიც** – **მაშინვე გატკბილდება** (მათე 11,29-30).

ამგვარად – **ცოდნისა და რწმენის გაერთიანების წესის** მომარჯვებით ამოიცნობა უწმიდესისა და უნეტარესის დამრიგებლობითი შეგონება-განმარტებიდან – **ღვთისა და მოყვასისადმი მსახურების ზნეობრივ-სარწმუნოებრივი და რჯულისმიერი** ზიარი მნიშვნელობა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიტყვის მადლმოსილებისა და „სულიერი ღირსების“ კიდევ ერთი დასტურია ყველასთვის ტკბილი, სანატრელი სიტყვა **თავისუფალი**; და ისიც სარწმუნოა, რომ ჭეშმარიტად **თავის-უფალი** იგია, და ჭეშმარიტი თავისუფლებითაც ის იმოსება, ვინც საკუთარ „წადილთა ნებას“ კეთილგონივრულად დაუფლება და მას **რჯულისამებრ** წარმართავს – ისე, როგორც შეჰფერის ქრისტე ღმერთის **ხატისა და მსგავსების** ღირსეულ **პატრონს** (შდრ.: ძვ. ქართ. **უფალი** ასევე ნიშნავს „პატრონს“). მხოლოდ ამგვარ თავისუფლებას ზიარებული ადამიანი თავისუფლდება ცოდვათა მონობისგან, რასაც უფლის მიერ ნამცნები გვიდასტურებს წმიდა სახარებიდან:

„და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუნ... ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ... უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“ (იოანე 8, 32. 36).

მრავალმოწყალე უფლისადმი გამოუთქმელი მადლიერების განცდა მეუფლება რამეთუ ჩვენ, ქართველთ, გვარგუნა მწყემსმთავარი:

**მოუკლებელი ლოცვით მადიდებელი ღმრთისა:** მლოცველი სრულიად საქართველოსათვის და ქრისტეს მქადაგებელი – სიტყვით, საქმით, ხატითა და გალობით; ივერიასა შინა სამეუფეო მღვდლობის განმაბრწყინვებელი და „თვსთა ცოდვათა განცდის“ შემაგონებელი; უმეცართა შორის ღვთის სიტყვის დამწერგავი და მცირედმორწმუნეთა – რწმენით განმაძლიერებელი; კეთილად შემაუღლებელი რწმენისა და ცოდნისა;

**მშობელი მამასავით მზრუნველი:** სათნო და სამართლიანი, ღმობიერი და მიმტევებელი, გაჭირვებულთა გულშემატკივარი და შემწე; გულდამრეტილთა სიყვარულით განმაცხოველებელი, სნეულთა სასოებით აღმავსებელი და მგლოვარეთა მანუგეშებელი; მტრობის განმაქარვებელი და მშვიდობის დამამყარებელი!

**გმადლობ შენ, უფალო!**

სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ გვიდღეგრძელე ჩვენი ტკბილი მამა,  
უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე!

დოდო (მარიამ) ღლონტი



## მილოცვები გერმანიიდან

### უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს აღსაყდრების 44-ე წლისთავს ულოცავენ ქართველი ემიგრანტები და გერმანელი მართლმადიდებლები

\*\*\*\*\*

გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები და გერმანელი მართლმადიდებლები ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს აღსაყდრების დღეს. ვულოცავთ უდიდესი სიყვარულით, უდიდესი პატივისცემით და უდიდესი მოწიწებით.

ჩვენი უწმიდესის აღსაყდრება არა მხოლოდ ქართველებისათვის არის წყალობა ღმრთისა, არამედ მთელი მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი სამყაროსთვის. ჩვენი პატრიარქის შემწყნარებლობა არ განასხვავებს ქრისტიანს სხვა სარწმუნოების მიმდევრისაგან. იგი იღვწის და ლოცულობს მათთვისაც, ვინც არ იცნობს ღმერთს და მათთვისაც კი, ვინც წმინდა ეკლესიას ებრძვის. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა სარწმუნოების სასულიეროპირებიც ჩვენი უწმიდესის უანგარო სიტბოსა და სიყვარულის შესახებ, გაოცებას ვერ მალავენ.

თვალნათლივ ცხადია, რომ ჩვენ ვიმყოფებით სულიერ ომში იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც მსოფლიოზე ბატონობენ. ბოროტი ყველა ამქვეყნიურ სიმდიდრეს ფლობს, მისი რესურსები განუსაზღვრელად დიდია. მის ბრძანებას ემორჩილება გლობალიზმისკენ მიმართული პოლიტიკა, ცრუ რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ოსტატურად აცდუნებენ ადამიანს და უფსკრულისაკენ მიმავალ გზაზე მეგზურობას უწევენ.

ამ ყველაფერს წინ აღუდგა ერთი კაცი, რომელსაც ქართველი ერის სულიერი გადარჩენა აბარია. ამ სულიერი ომის ფრონტზე მან მეფური მეთაურობით იტვირთა მთელი მართლმადიდებელი სამყაროს გადარჩენა.

როდესაც ბევრი მართლმადიდებელი ქვეყანა კომპრომისებზე წამსვლელი აღმოჩნდა და თანამედროვეობის ნიღბის ქვეშ დამღუპველი ნელთბილობა გამოიჩინა, ჩვენი პატრიარქი დარჩა კატეგორიული. მისთვის ჩვეული სიმტკიცით მედგრად დაიცვა ქვეყანა ფარისეველთა მიერ თავსმოხვეული რიტორიკისგან, რომელიც დემოკრატიის ალიბის სახით გვევლინება. ჩვენი

უწმინდესი რჩება ქრისტიანული მრწამსის მცველად, როგორც ჭეშმარიტების შეურყეველი კლდე.

როდესაც განკაცებული ღმერთი ჯვარს აცვეს, ქრისტეს მიმდევრების დევნაც არ არის გასაკვირი. ჭეშმარიტად საამაყოა ის გაჭირვება, რომელსაც საქართველო ითმენს, რათა ქრისტეს გზით იაროს. გამძლავრებული ბრძოლა ჩვენი ეკლესიის წინააღმდეგ სამხილია იმისა, რომ ბოროტი მართლმადიდებლობის წინაშე შიშით ეცემა და სასტიკად იტანჯება. ჩვენს ქვეყანას უთვალავი მტერი ჰყავს, როგორც ხილული, ასევე უხილავი და როგორ გარე, ასევე შიდა. მრავალი ცდილობს გაგვიმწაროს ან სულ წაგვართვას ქართველობა. გაჭირვებულ და მიწაგაყიდულ ერს წმინდა ეკლესიის გარდა აღარაფერი დაგვრჩენია.

სად იქნებოდა ჩვენი საყვარელი სამშობლო დღეს, ჩვენი პატრიარქი ჯვარს რომ არ უმსუბუქებდეს? მისი ლოცვის ძალით აღჭურვილი, ქართველი ქედს არ იხრის და უკან არ იხევს. მისი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგია, რომ ეთიკური პრინციპების მსხვერვის ეპოქაში, როდესაც დაბრმავებულია კაცობრიობა და თეთრს ხედავს შავად, შავს კი - თეთრად, მართლმადიდებელ ქართველს ჯერ კიდევ საღი თვალთახედვა შერჩენია.

ერთ-ერთ უახლეს მაგალითს მე ვხედავ ქართველი მრევლის შეურიგებლობაში გარყვნილების აღლუმის ჩატარების მცდელობასთან. ქართველი მრევლი, როგორც ყოველთვის, დიდი მოლოდინით ელოდა პატრიარქის მოწოდებას. პირადად მეც მხვდა ბედნიერება პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ქაშვეთთან აღვლენილ წირვას ჩემს სულიერ მოძღვართანერთად დავსწრებოდი.

ჩვენი პატრიარქის ბრძნული გადაწყვეტილებით ქრისტიანული ღირებულებების შელახვა არ დაშვებულა. ამ გამარჯვების შემხედვარე მსოფლიომ გაიგო, რომ, ჩვენი პატრიარქის მემშვეობით, საქართველოში ჯერ კიდევ სუფევს ღმერთისადმი ერთგულება. ამ დღეს მრავალმა ხალხმა ინატრა ქართველობა!

\*\*\*

ჩვენო ტკბილო პატრიარქო, თქვენი მადლი არის ჩვენი უკანასკნელი თავშესაფარი! რა ბედნიერი არის ქართველი ერი, რომელზედაც ღმერთმა წყალობა მოიღო და თქვენისთანა პატრიარქი მოჰმადლა! მადლიერი ვარ, რამეთუ თქვენი წმინდა ხელით შენარჩუნდა ყველაფერი ის, რაც ქართველთასულიერებისთვის ღირებულია.

ჩვენო თბილო პატრიარქო, მადლიერებას გამოვხატავთ თქვენს აღსაყდრების დღეს, რადგან იგი ჩვენი გადარჩენის გზად იქცა. ყველა ქართველისათვის ღმრთისაგან ბოძებულ წყალობავ, ემიგრანტების ერთადერთო ნუგეშო! ღმრთის მადლიერი ვარ, რომ თქვენს სამწყსოს შორის ყოფნა მაღირსა!

გილოცავთ თქვენო უწმიდესობავ, რომლისთვისაც საკადრისი სიტყვა მაინცვერ მოვძებნე.

თქვენი ღვაწლით გადარჩენილები მუხლმოდრეკილნი ვართ თქვენი საპატრიარქო ტახტის წინაშე.

\*\*\*

მე გახლავართ გვანცა, 19 წლის. დაბადებული და გაზრდილი გერმანიაში, ერთი წლის წინ დავბრუნდი საქართველოში. ჩემს თავში ვხედავ სულიერ ლტოლვილს, რომელიც თავს აფარებს ჩვენი პატრიარქის ქვეყანას - ჩემს სამშობლოს.

ქასმინ (გვანცა) ლომიძე

\*\*\*\*\*

დაგვლოცე, თქვენო უწმიდესობავ.

ჩვენი თქვენდამი სიყვარული უპირობო, მაგრამ ამავედროულად ულევო მიზეზის მატარებელია. თქვენი ქართველი ერისადმი და, ზოგადად, კაცობრიობისადმი სიყვარული, შეუპოვარი ბრძოლისუნარიანობა და ქრისტესმიერი მიმტევებლობა თვალნათლივ გვიჩვენებს თუ როგორ უნდა ვატაროთ ჯვარი თვისი უდრტვინნელად და სასოებით სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენ, როგორც უძღებ შვილებს თქვენი სამწყემსოსი, გვჯერა, რომ მიუხედავად ჩვენი ცოდვების სიმძიმისა, სამშვიდობოს გზაზე გავვიყვანთ. თქვენი ქრისტე ღმერთისადმი ერთგულება, რომელიც განსაკუთრებით პანდემიის ჟამს, ტაძრების არ დაკეტვით და წმინდა ზიარების წესის შეუცვლელობით გამოიკვეთა, უდიდესი სიხარულისა და იმედის მომცემია თითოეული ჩვენგანისთვის.

ჩვენ ვმადლობთ უფალს ასეთი წყალობისათვის და გმადლობთ თქვენ ამდენი მოთმინებისა, თავდაუზოგავი წირვისა და ლოცვისათვის. როგორც აბრაამმა თავის დროზე ებრაელი ხალხი გააერთიანა, მოგვმადლოს უფალმა თქვენდამი სიყვარულში და მორჩილებაში ერთობა. გვიყვარხარ ჩვენო პატრიარქო!!!

მოგიკითხავთ სიყვარულით ამჟამად უცხოეთში გადახვეწილი, მაგრამ სულ მალე სამშობლოში გადმოსახლების იმედად მყოფი ჯაბა ჯანელიძე და ნინო ცინცაძე შვილებით: მარიამით, ელისაბედით, ეფემიათი და გიორგით.

ნინო ცინცაძე

\*\*\*\*\*

მადლი და წყალობა განუმრავლოს უფალმა ღმერთმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, რომელსაც ოთხ ათეულ წელზე მეტია ღმერთის განგებულებით აბარია უფლის ერის მესაჭეობა.

მძიმე ათეისტური ეპოქის დროიდან მოყოლებული, დღევანდელ უმძიმეს გლობალისტურ ეპოქამდე გზა-სავალს თვითონ უწმიდესმა „მზიანი ღამე“ უწოდა.

ჩვენი პატრიარქი რწმენის და სიყვარულის მაგალითია ყველა ქრისტიანისთვის.

მხურვალედ მომწოდებლობა ქართველთა სამშობლოში დაბრუნებისა და ერთ სამწყსოში გაერთიანებისა, უფლის და ერის მსახურების აშკარა დადასტურებაა. გლობალისტთა დაფარული თუ დაუფარავი შემოტევების წინააღმდეგ ბრძოლის მაგალითია დამნახავთათვის.

მის ეპისტოლეებში სახარებისეულად ცხოვრების წესის დაწვრილებით ასახვას ვხედავთ. „მე არ შემძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ“ - მის გამონათქვამს ანგელოზურ ზნეობად მივიჩნევ, რამეთუ დიდი მოყვასი ასე იტყოდა. მოიხსენოს უფალმა უწმიდესი ილია II, ოდეს მოვიდეს სუფევითა თვისითა.

გიორგი ფუტყარაძე

\*\*\*\*\*

დაგვლოცეთ უწმიდესო, ჩვენო უსაყვარლესო, მამავ, ჩვენო მშობელო, ჩვენო უწმიდესო, გილოცავთ აღსაყდრების დღეს! გვიყვარხართ ჩვენო პატრიარქო! გვიყვარხართ ჩვენო პატრიარქო! გვიყვარხართ ჩვენო პატრიარქო!!! ...

დოდო ჩადუნელი

\*\*\*\*\*

გვსურს მოგილოცოთ, ჩვენო უწმიდესო, აღსაყდრების დღე, ასევე მივულოცოთ საქართველოს საქრისტიანოს ასეთი ქრისტესმიერი პატრიარქის არსებობა; რამეთუ სისტემატურად გიწევთ იმ პრობლემების და განსაცდელების ერთპიროვნულად ტვირთვა, რასაც ჩვენ ყველა ერთად ვერ ვუმკლავდებით. გვსურს, გისურვოთ ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ერის ქრისტეს საფარქვეშ გაერთიანება, რაც თქვენი ღვაწლისა და წმინდა ოცნების გვირგვინი იქნება და რისთვისაც თქვენ უანგაროდ ლოცულობთ.

შეგვინდოს უფალმა და შეგვინდეთ თქვენ, ჩვენო უწმიდესო, ქართველ ერს ჩვენი

სისუსტე და ზედაპირულობა, რამდენადაც დიდ მადლმოსილებაში მყოფი ერის სულიერი მამა ვერ დაგიცავით, შემზარავი ცინიზმითა და ცილისწამებით გაჟღენთილი ბოროტის დავდასხმისაგან. დაე, მოგვცეს ღმერთმა რწმენა და ძალა, რათა უფლის მადლით და თქვენი მეოხებით, ჩვენო პატრიარქო, შევძლოთ გაერთიანება და უფლის წინაშე წარდგომა. მეტადრე მაშინ, როცა ანტიქრისტიანული ძალები ასე მომრავლდნენ და სასტიკი ბრძოლა გამოაცხადეს მართლმადიდებელი ერის გასანადგურებლად. მაგრამ დიდია წყალობა უფლისა!

მრავალ განსაცდელს, მრავალ დაცემას, მრავალ

სიხარულს ნაცადი ერი საზეპუროა,

უფლის გაცემას აღარ დაუშვებს, ჰყავს დიდი

ბერი!

აცხოვნე უფალო, პატრიარქი ჩვენი და გვაცხოვნე ჩვენ!

ქეთევან ბარძიმაძე

## გერმანელი მართლმადიდებლების მილოცვა პატრიარქისადმი

\*\*\*\*\*

აღსაყდრების 44 წლის თავთან დაკავშირებით, ჩვენს საყვარელ ქართველ პატრიარქს გერმანიიდან ვუგზავნით გულითად მილოცვებს და კურთხევის სურვილებს უმდაბლესი მეტანიით, მამა იოანე და ბუხჰაგენის სამებისმონასტრის ბერები.

დაახლოებით 16 წლის ასაკში პირველად ვკითხულობდი ხელოვნების წიგნს, მე-19 საუკუნის ბოლო წლების ლითოგრაფიას ძველქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, მსგავსება შევამჩნიე ჩვენს უძველეს ეკლესიებთან მდინარე ვეზერის მახლობელ მთიან რეგიონში: რვაკუთხედი კოშკები, უბრალო წვეტიანი გუმბათებით, მრგვალი თაღები, შიდა სივრცეში შესუსტებული სინათლით. მაშინ ვოცნებობდი ოდესღაც იმ ქვეყანაში გავმგზავრებულიყავი და იმ ბრწყინვალე ქრისტიანულ ტაძრებში ფიზიკურად შემეხებინა, რომლებიც ძვირფასი თვლებივით ტახტს იდგამენ თავის მაღალ ბადაღებში უხემ კლდეებზე ან მთის ფერდობებზე ან კიდეც ტყიან სიმაღლეებში, ხშირად ზღაპრული პეიზაჟის წინ ალპური მთის მასებში.

თითქმის 50 წელი დასჭირდა ჩემი ოცნების ასრულებას. ამასობაში ბერლინში უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე, მართლმადიდებლად მოვექეცი და წმინდა ათანასეს დიდ ლავრაში ათონის წმიდა მთაზე ბერად აღვიკვეცი. მამა გაბრიელ ლავრიოტი, შემდეგ განსაკუთრებით კუტლუმუსიუს მამა იოსები, რომელმაც შემდგომში (1992 წლიდან) თავის მოწაფეებთან ერთად ვატოპედის მონასტერი განაახლა და იქ ნეტარი გარდაცვალებით მიიძინა და სხვა წმიდა მამები ძალიან მიესალმებოდნენ გერმანულ-მართლმადიდებლური მონასტრის დაარსებას გერმანიაში; მამა იოანეს უკვე დაწერილი ჰქონდა ეკლესიური კანონი ათონური გარდამოცემის მიხედვით. მიუხედავად მრავალი საწყისი სირთულეებისა, მათ შორის ბერლინის ეკუმენური ეკლესიათა საბჭოსგან, 1990 წელს სიწმინდის აშენება დავიწყეთ. კურთხევა განახორციელა წმიდა მიტროპოლიტ სიმეონმა. კაცმა, არაჩვეულებრივი შორსმჭვრეტელობით, სულიერი განსხვავებულობითა და ღრმა ერთგულებით ეკლესიური გადმოცემისადმი, თითქმის ერთი წლის შემდეგ, (რაც ბულგარეთის საპატრიარქოს დასავლეთევროპული ეპარქია, თითქმის 50 წლიანი დაბრკოლების შემდეგ, ხელახლად აღდგენილი იქნა). წმინდა სინოდმა გერმანული მონასტრისთვის გადაიღო სწორედ ის კანონი, რომელიც მამა იოსებმა 12 წლით ადრე ათონის მთაზე შექმნა. გერმანიის მართლმადიდებელი დიასპორისთვის ეს აბსოლუტურ სიახლეს წარმოადგენდა, რომ ათონელი ბერობის საფუძველზე, დამოუკიდებელი გერმანულ-მართლმადიდებლური ტრადიციის აღმოცენება შესაძლებელი იქნებოდა.

ავბედითი რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, მონასტრის მახლობლად ერთი

გერმანელი ოჯახი დასახლდა, რომელიც 15 წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრობდა და იქ მართლმადიდებლად მოექცა. ამით ახალგაზრდობის ოცნებას საქართველოზე და მის არქაულ ეკლესიაზე ხელახალი საფუძველი ჩაეყარა. და, მართლაც, 2010 წელს იგი აღსრულდა. ორმა ქართველმა ბიზნესმენმა ოთხ ბერს, ჩვენს მეგობართან ერთად, რომელიც თარჯიმნობას გვიწევდა, საქართველოში მოგზაურობა შეგვამძღვრინა. დაუვიწყარია, ქართული ეკლესიის აღორძინება ათწლეულების მანძილზე განცდილი შევიწროების შემდეგ. დაუვიწყარია ის შეხვედრები და გამოცდილებები, რომელთაც დღემდე დატოვაკვალი.

ეს პილიგრიმული მოგზაურობა ჩვენთვის, მართლმადიდებელი გერმანელის განცდაში და თვითშემეცნებაში უზარმაზარ წინსვლასნიშნავდა. პირველმა კითხვამ, რომელიც მთაწმიდის მამა იოანემ დაგვისვა:

„წმიდა იოანე გოთის შესახებ თუ გვსმენოდა?“ - ჩვენი ყურადღება გაამახვილა უძველეს ისტორიაზე და გერმანულ-მართლმადიდებლური ტრადიციის ისტორიულ წინამორბედზე, რომელმაც ჩვენს სივრცეში, ეკლესიის ლათინიზაციის შედეგად, ადრინდელ შუასაუკუნეებში გაგრძელება ვერ ჰპოვა. ერთ-ერთი აღმოჩენა წმინდანთა საფლავის კომპლექსი, მცხეთის საკათედრო ტაძრის სამხრეთ ფრთაში, რომლსაც სასწაულებრივი მსგავსება აქვს აღმოსავლეთ ჰარცში მდებარე გერნროდეს კოლეგიური ეკლესიის წმინდანთა საფლავის კომპლექსთან. გერნროდე აშენდა მე-10 საუკუნეში, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ალ-ჰაკიმი კონსტანტინეს აღდგომის ტაძარს იერუსალიმში, წმინდა საფლავთან ერთად გაანადგურებინებდა. ნეტავ რა კავშირმა განაპირობა საქართველოში მცხეთისა და ძველ საქსონიაში გერნროდეს შორის ასეთი შთამბეჭდავი მსგავსება?

ჩვენი სტუმრობა საქართველოში იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც დავიწყეთ ჩვენი გერმანულ-მართლმადიდებლური გალობის არქაულ ბუნებრივ ინტონაციაზე გადაყვანა. სიტყვებით ვერ აღვწერ იმ აღფრთოვანებას და ბედნიერებას, რომელიც განვიცადე, როცა წირვაზე სამხმიანი ძველქართულ გალობას ვუსმენდი. იქ იხსნებოდა უძველესი სივრცეები, - მარადისობა. ისმოდა ოვერტონ-კვარტა 8/11, „ქართული კვარტა“, ან ფრიგიული სეკუნდა 12/13 ან კიდევ დორიული სეკუნდა 7/12. იგი ძველქართულ „მზის ჰიმნს“ აძლევს თავისებურ ფერს, განსაკუთრებით წმინდა მინორულ სამხმოვანებასთან ცვლაში, რომელიც დორიულში მთავარ ნოტზე ჟღერს. ბუნებრივნოტიანი სამხმოვანება შემდგომში ბუხჰაგენის გერმანულ-მართლმადიდებლური გალობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და ბიზანტიური გალობის ტრადიციის გვერდით შესანიშნავად შენარჩუნდა.

მოგზაურობის კულმინაცია იყო სამების საკათედრო ტაძარში კვირაცხოვლობის სადღესასწაულო წირვის მის უწმინდესობასთან ილია II -სთან ერთად აღვლენა და დასასრულს პატრიარქის მიერ ერთობლივ ტრაპეზზე მიწვევა.

სულიერება და სიდიდე ამ ჭეშმარიტად წმიდა იერარქისა, მისი სიყვარული ღმრთის მიმართ, ეკლესიისა და თავისი ერის მიმართ, ასევე მისი სიღრმისეული განსჯა და ინტერესი ჩვენი ცხოვრების მიმართ, როგორც მართლმადიდებელი ბერებისა გერმანიაში და ამასთან დაკავშირებული საკითხი, სწორი დამოკიდებულება გერმანულ-მართლმადიდებლური ტრადიციის მიმართ, ასევე მისმა კეთილგანწყობილებამ, მამობრივმა სათნოებამ და სიწრფელემ ჩვენთვის ცხადჰყო, რომ საქართველოს ეკლესიის სასწაულებრივად აყვავება განუშორებლადაა შერწყმული ქართველ ერთან.

ჭეშმარიტად, გულწრფელი ღვთის სიყვარული და წმიდა გადმოცემისადმი ერთგულება, მართლაც სულიერი ძალაა, თუ არა ღმრთის ძალის ფლობა, რომელსაც შეუძლია ჩვენი დროის მოჯირითე დემონიზაციას წინააღმდეგობა გაუწიოს და ამ დაცემულ სამყაროში წარმოუდგენელს მიაღწიოს.

მეგობრებისა და სულიერი მოსწავლეების მეშვეობით მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ქართულ ეკლესიასთან; მაღლიერნი ვიხსენებთ ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ესაიას სტუმრობას; გერმანიაში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი კვირა დღეს საღვთო ლიტურგიას ჩვენთან, ბუხჰაგენშიესწრება.

ის მსგავსება ქართულ და ძველსაქსონურ ხუროთმოძღვრებას შორის, რომელიც 16 წლის ასაკში ასე კაშკაშად თვალწინ დამიდგა, ახლა უკვე ბუხჰაგენის სამების ტაძრის მშენებლობით ხელახალ მტკიცებულებას ჰპოვებს.

დაე, ღმრთისადმი სიყვარულმა და საღვთო სჯულის ერთგულებამ, რომელსაც ჩვენთვის საყვარელი უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქი ილია II ასესამაგალითოდ იცავს, განამტკიცოს და შეინარჩუნოს უფლის წმიდა ერის ერთიანობა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა ერში - სული წმიდის მაღლით და ძალით, რომელიც მამასთან და ძესთან არს და მეფობს უკუნითი უკუნისამდე.

არქიმანდრიტი იოანე და მამები ჩემთან ერთად

(თარგმანი  
გერმანულიდან)



\*\*\*\*\*

ჩვენს დროში, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე განსახიერებაა გულმხურვალე ქრისტიანისა. იგი, საქართველოს ჯვრის ტარებით წელში მოხრილი, დაემსგავსა გოლგოთაზე ამავალ ქრისტეს. ჩვენ ვხედავთ მაგალითს, თუ როგორ უნდა ვიტვირთოთ ჩვენი ჯვარი ბოლომდე უკომპრომისოდ, თავდაუზოგავად, როგორ უნდა გვიყვარდეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და, ამავდროულად, მოყვასი ჩვენი დიდი გულისტკივილითა და თანაგრძნობით.

ჩვენ ვსწავლობთ პატრიარქისგან, რომ არ შეიძლება ცხოვრობდეს ქრისტიანი ურწმუნო გარემოში და მას არ აწუხებდეს ამ ადამიანების სულიერი მდგომარეობა, არ შესტკიოდეს გული თითოეულ დაკარგულ ქრისტეს ცხოვარზე და არ ცდილობდეს უფლის გზაზე მის დაყენებას. აღმაფრთოვანებელია მისი თავგანწირვა ჩვენი უფლის - იესოს ეკლიან და ვიწრო გზაზე, მისი სიყვარული და ერთგულება ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, მისი პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულება მსოფლიოს მართლმადიდებელი სამწყემსოების მიმართ.

პატრიარქი ილია არის საქართველოს მამა. მას შეიძლება ვუწოდოთ „ახალი მოსე“, რომელმაც გამოიყვანა ქართველი ერი მეოცე საუკუნის, „ეგვიპტის“ ტყვეობიდან. ლოცვითა და მარხვით მან განაპო წარმავლობის მდინარება და უღმრთოობის უდაბნოში, ვითარცა იმ ღვთიკურთხეულმა წინამძღვარმა, წარმოადინა მადლის წყარო.

იგი მაგალითი და მოძღვარია არა მხოლოდ ქართველებისთვის. მთელს მართლმადიდებელ სამყაროში მას უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით მოიხსენებენ. მის ურყევ რწმენას თან სდევს საოცარი წინდახედულება და სიბრძნე. ეს გამოჩნდა 2020 წლის ეპიდემიასთან დაკავშირებით, როცა პატრიარქმა, რთული ვითარების მიუხედავად, არ შეაჩერა ეკლესიის მსახურება და ამით კიდევ ერთხელ დაამოწმა მისი ცოცხალი რწმენა და სასაოება ცოცხალი ღმერთის მიმართ, რომელიც არის სიცოცხლისა და ხსნის ერთადერთი წყარო. ასევე დიდი სიხარული განვიცადეთ მამა გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის ასე სწრაფადწმიდანად აღკვეცის გამო.

\*\*\*

მე ვარ წარმოშობით გერმანელი. ღვთის წყალობით მთელი ოჯახი (დედ- მამა იულიანე და პაულა, და-ძმა ნინო და ფრიდონი) 2000 წელს ილუმენი ლაზარე გაგნიძის მიერ მცხეთაში მოვიანათლეთ. მინდა, პატრიარქს ჩემი ოჯახის და ყველა იმ სხვა ერის ადამიანის სახელით, რომლებიც საქართველოს ეკლესიის წევრები არიან, უღრმესი მადლობა გადავუხადო, იმ მამობრივი სიყვარულისათვის, რომელიც წარმომავლობის განურჩევლად მფარველობს ყველა ქრისტიანს როგორც „ახალი ისრაელის“ ერის წევრს.

პირადად დიდი მადლობელი ვარ იმისა, რომ მქონდა ბედნიერება მესწავლა სკოლის პირველი ხუთი წელი მცხეთის საპატრიარქოს ათთორმეტა მოციქულთა სახელობის გიმნაზიაში. დღესაც დიდი სიხარულით მახსოვს ამ სკოლაში არსებული ქრისტესმიერი სითბო და სიყვარული.

ჩვენო პატრიარქო, ღმერთმა არ მოგაკლოთ წყალობა და სიხარული! გისურვებთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გაბრწყინებული გენახით მრავალჟამიერ! დიდი პატივისცემითა და სიყვარულით,

თომა რაბიუსი



Երբ մարդիկ կրկին հանրապրտան  
մտածում են թողնելով իրենց  
ուրուս գրողներ, հայրենի երկրի  
պատիվներ,

Իսկ մեր ժամանակը շատ կարճ է մեր  
ընկերները, որոնք պատերազմից հետո  
հեռու են մնացել և հիշատակներ են  
կորցրել մեր հայրենիքի, որի մասին  
մենք պետք է հիշենք և մեր հայրենիքի  
հիշատակները. որոնք պետք է մեր  
հայրենիքի հիշատակները շատ  
զուգորդեն մեր հայրենիքի հիշատակները,  
որոնք ենք մենք և մեր հայրենիքը,  
և մեր հայրենիքը, որի մասին  
մենք պետք է հիշենք և մեր հայրենիքը,  
որի մասին մենք պետք է հիշենք.

Մենք պետք է հիշենք, որոնք  
մեր հայրենիքի հիշատակները,  
որոնք ենք մենք և մեր հայրենիքը,  
և մեր հայրենիքը, որի մասին  
մենք պետք է հիշենք.

Մենք պետք է հիշենք, որոնք  
մեր հայրենիքի հիշատակները,  
որոնք ենք մենք և մեր հայրենիքը,  
և մեր հայրենիքը, որի մասին  
մենք պետք է հիշենք.

Մենք պետք է հիշենք, որոնք  
մեր հայրենիքի հիշատակները,  
որոնք ենք մենք և մեր հայրենիքը,  
և մեր հայրենիքը, որի մասին  
մենք պետք է հիշենք.

Մեր հայրենիքի հիշատակները,  
որոնք ենք մենք և մեր հայրենիքը,

\*\*\*\*\*

სამი წლის წინ საქართველო მოვილოცე და პატივი მხვდა წილად დიდად პატივცემულ სრულიად საქართველოს-პატრიარქს, უწმიდეს დაუნეტარეს ერის მამას, ილია II-ს მცხეთაში შევხვედროდი. ძეგვის დედათა მონასტრის წინამძღვარ, დედა მარიამის მეშვეობით, მცხეთაში წმიდა სინოდის ტრაპეზობას დავესწარი და პატრიარქისაგან ნანატრი კურთხევა მივიღე! რამხელა საჩუქარია წყალობისა!

უწმიდეს და უნეტარეს დიდი ღვაწლი აქვს დადებული ქართველი ერისთვის, რამეთუ დღეს მას სულიერად სუნთქვა შეუძლია და ყველა მტერს სძლევს. ასეთი სულიერი მამის ყოლა ყველა ერისთვის ოცნება იქნებოდა!

გერმანელი მართლმორწმუნე ერი შორიდან ეთაყვანება საქართველოს პატრიარქს. იგი არის მაგალითი ყველა ქრისტიანისათვის.

დავემოწაფოთ მას ყველანი მის სიყვარულში და მოყვასისთვის თავდადებაში, აღვემართოთ და გაბედულად ვიბრძოლოთ ჭეშმარიტირწმენისთვის!

ბედნიერი და მადლიერი ვარ, რომ თავს შემძლია მართლმადიდებელი ვუწოდო.

ღრმად გაოცებულმა თქვენი ქვეყნით, მისი სიწმინდით, მიწით და ადამიანების უდრეკი რწმენით, მათი ღირსებით და მებრძოლი სულით - წელს კვლავ გავემართე საქართველოსკენ. ამჯერად ჩემი ქალიშვილის თანხლებით, რომელიც ბოლო აღდგომის დღესასწაულზე 28 წლის ასაკში ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელით მოინათლა.

კავკასიის გულში მორწმუნე თავს გრძნობს დაცულად, როგორც აბრაამისწიაღში.

რაჰელ ვეგე-შნაიდერსი  
(თარგმანი გერმანულიდან)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-სადმი ბუხჰაგენის წმიდა სამების სახელობის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოანეს მისალმებას შეეხმიანა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი ნუგზარ სამხარაძე.

## შთაბეჭდილებები ბუხჰაგენის წმიდა სამების სახელობის მონასტრიდან

2006 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დამადგინა ქვაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის იკონომოსად. ამ საეკლესიო თანამდებობაზე წარმადგინა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ამჟამინდელმა რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ. ეს საპასუხისმგებლო საქმიანობა ჩემთვის გამოწვევა და უაღრესად საინტერესო სამსახურეობრივი პოზიცია იყო. ქვაშვეთის ტაძრის იკონომოსად მსახურებისას მრავალ ადამიანთან მიხედობდა შეხვედრა, მათ შორის იყვნენ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიც. თითოეულ მათგანთან ურთიერთობებისას ვიღებდი გამოცდილებას არამხოლოდ პროფესიული, არამედ საეკლესიო მართვა-გამგეობის შესწავლის თვალსაზრისითაც. აქტიურად ვიყავი ჩართული ტაძრის წინამძღვრებთან (დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი ბიძინა გუნია, დეკანოზი მიქაელ ფოფხაძე) ერთად ყველა პროექტში, რომელიც დაკავშირებული იყო ქვაშვეთის ტაძრის განვითარებასა და კეთილმოწყობაზე.

სწორედ ქვაშვეთის ტაძარში 2010 წელს შევხვდი და გავიცანი გერმანიის ქალაქ ბუხჰაგენის წმიდა სამების სახელობის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი იოანე, რომელიც პილიგრიმული მისიით ახლადდაარსებული მონასტრის საძმოსთან (ბერებთან) ერთად იყო საქართველოში ჩამობრძანებული. შეხვედრისთანავე დამყარდა ჩვენს შორის ქრისტესმიერი სიყვარული. ჩემი გერმანული ენისა და კულტურისადმი ინტერესმა უფრო გაზარდა ჩვენს შორის კავშირი, რამაც განსაზღვრა ჩვენი შემდგომი ურთიერთობები, ასევე ჩემი მიწვევა გერმანიაში და მართლმადიდებლურ ტაძარში ერთთვისანი ცხოვრება. მე, როგორც ქართველი მართლმადიდებელი, ქალაქ თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული და ღვთისმეტყველების პედაგოგი საქართველოში მოქმედ ბევრ მართლმადიდებლურ მონასტერს ვიცნობ და მიცხოვრია მონასტრული ცხოვრების წესით, თუმცა ის, რაც გერმანიის ქალაქ ბუხჰაგენის წმიდა სამების მონასტერში ვნახე და განვიცადე, დღემდე მომყვება და მთელი ცხოვრება მემახსოვრება.

გერმანიის ქალაქ ბუხჰაგენის წმიდა სამების მონასტერის ტიპიკონი (წესი) აერთიანებდა ლოცვას და შრომას, რწმენას და განათლებას, საეკლესიო იერარქიის მიმართ სიყვარულსა და მონასტერში მცხოვრებთა ურთიერთპატივისცემას. ერთმა თვემ, რომელიც მე გერმანიაში მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში გავატარე, სამწუხაროდ, სწრაფად გაიარა, თუმცა, არ გაუვლია იქ მიღებულ ემოციებს ჩემი მეხიერებიდან. დღემდე მახსოვს: მონასტერში ლიტურგიისას განცდილი საღვთო სიხარული, მონასტრის წევრებთან ერთად შესრულებული უნიკალური გალობის ხმოვანება, მონასტერში არსებული საეკლესიო არქიტექტურის დიდებულება, მონასტრის კედლის მხატვრობის ორიგინალურობა, საღვთო ლიტურგიაზე დასასწრებად მოსული სტუმრების მოკრძალება, მონასტრის წევრების უაღრესად თბილი დამოკიდებულება მოსული სტუმრებისადმი. არასდროს დამავიწყდება ის ქრისტესმიერი სიყვარული, რომელსაც ვგრძნობდი ჩემს მიმართ მონასტრის წინამძღვრისა და მონასტერში მოღვაწე თითოეული წევრისგან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელი მართლმადიდებლებისაგან გამოხატული მოკრძალება და პატივისცემა უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორისადმი, რასაც ყველგან და ყოველთვის თვალნათლივ ვხედავდი.

ბუხჰაგენის წმიდა სამების მონასტერში გატარებული დღეებიდან დიდი დრო გავიდა. მინდა კიდევ ერთხელ მაღლობა გადავუხადო ღმერთს და საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქს ილია II-ს კურთხევისათვის იქ გატარებული დღეების გამო. განსაკუთრებული სიყვარულით მინდა გავიხსენო ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი იოანე, რომელიც დიდი როლს ასრულებს გერმანიაში მართლმადიდებლობის განვითარების საქმეში, ასევე იღვწის საქართველოსა და გერმანიის მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრების ურთიერთობების გაძლიერებისათვის, რადგან

ქრისტესმიერი მეგობრობა და ურთიერგამოცდილების გაზიარება უმნიშვნელოვანესია მართლმადიდებლური წიაღიასათვის.

ვუსურვებ მონასტერში მოღვაწე თითოეულ ბერს ღვთის წყალობას და მშენებარე ტაძრის მალე დასრულებას, რათა მრავალმა მართლმადიდებელმა გერმანელმა და ქართველმა შესძლოს „ღვთის სახლში“ შემოქმედის დიდება და გალობა მრავალყამიერ.

**ნუგზარ სამხარაძე**